ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №2217

ქ. ბათუმი, 04 ივნისი 2018 წ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 ივნისის N2216 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 ივნისის N2216 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართის (ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ) სააუქციონო პირობებში მითითებული ნაცვლად „აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2018 წლის 04 ივნისს 17:00 საათზე და სრულდება 2018 წლის 08 ივნისს 17:00 საათზე“ მიეთითოს „აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2018 წლის 04 ივნისს 17:55 საათზე და სრულდება 2018 წლის 11 ივნისს 12:00 საათზე“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბა-თუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი